EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეოთხე სექცია

განჩინება

საჩივარი no. 5168/06
ვაჟა ბაღაშვილი
საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია), კომიტეტის 2014 წლის 18 მარტის სხდომაზე, შემდეგი შემადგენლობით:

პაივი ჰირველა, *თავმჯდომარე,*
ნონა წოწორია,
ფარის ვეჰაბოვიჩი, *მოსამართლეები,*
და ფატოს არაკი, *სექციის განმწესრიგებლის მოადგილე,*

მხედველობაში მიიღო რა 2006 წლის 1 თებერვალს შემოტანილი წინამდებარე საჩივარი,

მხედველობაში მიიღო რა წარმოდგენილი ოფიციალური დეკლარაცია, რომელიც ითვალისწინებდა თანხმობას საქმის მორიგებით დასრულების შესახებ,

განხილვის შემდეგ, გამოიტანა შემდეგი განჩინება:

ფაქტები და პროცედურა

1. მომჩივანი, ბ-ნი ვაჟა ბაღაშვილი, არის ეროვნებით ქართველი, რომელიც დაიბადა 1949 წელს და ცხოვრობს საქართველოში, სოფელ ბოდბეში. მას სასამართლოში წარმოადგენდნენ ბ-ნი ლ. ჭინჭარაული და ქ-ნი თ. გაბისონია, ადვოკატები, რომლებიც საქმიანობის ახორციელებენ თბილისში. საქართველოს მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდა მათი წარმომადგენელი, ბ-ნი ლ. მესხორაძე საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან.

2. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ფაქტები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად.

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

3. 1999 წლის 11 დეკემბერს, მომჩივნის ვაჟი ბ-ნი ზვიად ბაღაშვილი, მოკლული იქნა ქუჩაში პოლიციის ოფიცრის, ბ-ნი ნ.ა. - შვილის, მიერ. შემთხვევა მოხდა სავარაუდო საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ჩადენის გამო, პოლიციის მიერ ბ-ნი ბაღაშვილის დაკავების მცდელობის დროს.

4. იმავე დღეს პოლიციის ოფიცრის, ნ.ა.- ს მიმართ აღძრული იქნა სისხლის სამართლის საქმე სიღნაღის რაიონის პროკურატურის მიერ დანაშაულზე, რომელიც გათვალისწინებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 187 (3) მუხლით და ითვალისწინებდა ძალის გადამეტებას, რომელმაც გამოიწვია მძიმე შედეგი.

5. 1999 წლის 20 დეკემბერს, საქმის წარმოების პროცესში მომჩივანს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი. მოგვიანებით ჩატარდა მთელი რიგი საგამოძიებო ღონისძიებები, რომლებიც მოიცავდა მოწმეთა დაკითხვას, რომლებმაც მისცეს ჩვენება, რომ პოლიციის ოფიცერმა გაისროლა მისი სამსახურებრივი იარაღიდან მომჩივნის შვილის მიმართულებით, მისი წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

6. 2001 წლის 5 თებერვალს გამოძიება შეწყდა და პროკურორმა საქმე გადაუგზავნა სასამართლოს განხილვისათვის. თუმცა 2001 წლის 6 ივლისს თბილისის საოლქო სასამართლომ, არასაკმარისი მტკიცებულებების გამო საქმე უკან დაუბრუნა პროკურორს დამატებითი გამოძიებისათვის.

7. 2002 წლის 2 ნოემბერს ამ საქმის პროკურორმა, მას შემდეგ რაც გარკვეული პროცედურული მიზეზების გამო, საქმიდან ამოღებული იქნა სხვადასხვა მტკიცებულებები პოლიციის ოფიცრის წინაღმდეგ, მიიღო დადგენილება სისხლის სამართლის დანაშაულის არ არსებობის გამო სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ. ეს დადგენილება გახდა საფუძველი მომჩივნის მიერ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი პრეტენზიების, რასაც მოჰყვა იურისდიქციის სხვადასხვა დონეებს შორის საქმის რამდენიმეჯერ უკან დაბრუნება, რაც ბოლოს დასრულდა თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში დატოვებით 2005 წლის 2 აგვისტოს.

პრეტენზიები

კონვენციის მე-2, მე-3, მე-6 და მე-13 მუხლების თანახმად, მომჩივანი ასაჩივრებდა, რომ მისი შვილი მოკლული იქნა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ. ის ასაჩივრებდა, რომ არ განხორციელდა ეფექტური გამოძიება.

სამართალი

8. 2013 წლის 4 აპრილს სასამართლომ შეატყობინა მთავრობას კონვენციის მე-2 მუხლთან დაკავშირებული საჩივრის შესახებ.

9. მთავრობამ 2013 წლის 25 ოქტომბრის წერილით შეატყობინა სასამართლოს, რომ მათ სურდათ საქმის მორიგებით დასრულება, რა მიზნითაც მათ წარმოადგინეს დეკლარაცია, რომელიც ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

"საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, მთავრობას სურს დანანებით აღიაროს კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევა.

იმის გათვალისწინებით, რომ არ იქნა უზრუნველყოფილი ეფექტური გამოძიების ჩატარება მომჩივნის შვილის მიმართ ძალის გადამეტების ფაქტზე, მთავრობა მზად არის ამ დეკლარაციის ფარგლებში:

- ჩაატაროს ეფექტური გამოძიება ზვიად ბაღაშვილის მიმართ ძალის გადამეტების ფაქტზე, როგორც ეს გათვალისწინებულია კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილით,

- გადაიხადოს 10.000 (ათი ათასი) ევრო, ნებისმიერი მორალური ან მატერიალური ზიანის და ყველა ხარჯისა და დანახარჯის ანაზღაურების სახით, რომელიც განთავისუფლებული იქნება ნებისმიერი გადასახადისგან, რომელიც შეიძლება მომჩივანს დაეკისროს. აღნიშნული თანხა კონვერტირებულ უნდა იქნას მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული კურსის შესაბამისად და გადახდა უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ, საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვის შესახებ გამოტანილი განჩინების მთავრობისთვის შეტყობინებიდან 3 თვის ვადაში. იმ შემთხვევაში თუ გადახდა არ განხორციელდა ზემოხსენებულ 3 თვის ვადაში, გადასახდელ თანხას დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება 3 პროცენტი.

ზემოხსენებული პირობების შესრულება წარმოადგენს საქმის საბოლოო გადაწყვეტას."

10. 2013 წლის 30 დეკემბრის წერილით მომჩივანმა განაცხადა, რომ ის მზად იყო დათანხმებოდა 2013 წლის 25 ოქტომბრის მთავრობის მიერ შემოთავაზებულ დეკლარაციას მორიგების შესახებ.

11. სასამართლო მხედველობაში იღებს მხარეთა შორის მიღწეულ მორიგებას. აქედან გამომდინარე ის იმეორებს, რომ კონვენციის მე-2 მუხლის ფუნდამენტური მახასიათებელი, ყოველთვის ითვალისწინებს, რომ აუცილებლად უნდა ჩატარდეს, რაიმე სახის ეფექტური ოფიციალური გამოძიება, როცა პირები მოკლული არიან ძალის გამოყენების შედეგად, სხვებს შორის *(Inter alios)* სახელმწიფო წარმომადგენლების მიერ. (სხვებს შორის, იხილეთ, ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ no. 25091/07, §§ 241-243, 2011 წლის 26 აპრილი). ამ შემთხვევაში სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ ჩაატაროს ეფექტური გამოძიება სიცოცხლის მოსპობის შემცველ ინციდენტში.

12. სასამართლო კმაყოფილებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ მორიგება დაფუძნებულია ადამიანის უფლებების პატივისცემაზე, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციასა და მის დამატებით ოქმებში და ვერ ხედავს რაიმე მიზეზს, რომელიც გაამართლებდა საქმის განხილვის გაგრძელებას. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია საქმის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვა.

ამის გათვალისწინებით, სასამართლომ ერთხმად

მიიღო გადაწყვეტილება, კონვენციის 39-ე მუხლის შესაბამისად ამორიცხოს საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

ფატოს არაკი | პაივი ჰირველა

სექციის განმწესრიგებლის მოადგილე | თავმჯდომარე